იერიშის ერთგულნი დარჩნენ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 6 აპრილი.

"დინამო" (თბილისი) – "ზენიტი" (ლენინგრადი) 0:0.

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ჭილაია, კოსტავა, ებრალიძე (ჩელებაძე 46–ე წუთი), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, დარასელია (გ. მაჩაიძე, 85–ე წუთი), ყიფიანი, შენგელია.

"ზენიტი": ოლეინიკი, იაკიმცოვი, ლოხოვი (ბელოვი 65–ე წუთი), დეკტერიევი, დამინი, ორლოვი (პოლიაკოვი, 71–ე წუთი), ბულავინი, მარკინი, მელნიკოვი, კლემენტიევი.

მსაჯი: ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

მინდვრიდან გააძევეს ყიფიანი, გაფრთხილებული იქნენ ორლოვი და დამინი.

როდის იწყება მატჩი – არბიტრის პირველი სასტვენის შემდეგ თუ უფრო ადრე? რა თქმა უნდა, პირველი სასტვენის შემდეგ, იტყვით თქვენ. მაგრამ ამ კითხვაზე ფეხბურთის ბევრი ქომაგი სხვანაირადაც გიპასუხებთ. მატჩი გაცილებით ადრეც იწყება, წინა საჩემპიონატო შეხვედრის დამთავრების მაუწყებელი სასტვენის შემდეგაც. ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა ხომ ნამდვილი დღესასწაულია და მისთვის ყველა გაფაციცებით ემზადება. შედგა თუ არა ამჯერად საფეხბურთო დღესასწაული? სამწუხაროდ, ამ ზეიმმა მწვანე მინდორზე ბევრს იმედი არ გაუმართლა.

თავდაპირველად ყოველივე ჩვეულებრივ წარიმართა. ფეხბურთელები პირველი წუთიდან სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ რაც შეიძლება მალე მოერგოთ გასაღები მეტოქეთა კარისთვის. ეს პროცესი მთელი შეხვედრის განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ.

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. შეხვედრის 34–ე წუთზე ებანოიძემ საჯარიმო მოედანთან თამაშის წესი დაარღვია, რასაც ლენინგრადელი ბულავინის აშკარად გამოხატული საპასუხო უხეში მოქმედება მოჰყვა: სათამაშო სიტუაციაში ებანოიძის შეცდომის გამო ბულავინმა ჯავრი კოპალეიშვილზე იყარა (?!). და აი, ამ ვითარებაში ყიფიანმა გააკეთა ის, რასაც მისგან ყველაზე ნაკლებად ელოდნენ: ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გაავებულ ბულავინს. მახსენდება წინასასეზონო ინტერვიუ ყიფიანთან, როდესაც იგი ამბობდა: "უცილობლად ბევრს ნიშნავს, რომ ათასობით თვალი შემოგყურებს, ათასებს უყვარხარ. არ შეიძლება არ გსიამოვნებდეს შენი კოლექტივის, ქვეყნის ღირსების დაცვა"…

და უცნაურია სწორედ ის, რომ კაცი, რომელსაც ასე ღრმად აქვს შეგნებული დაკისრებული პასუხისმგებლობა, უეცრად ამჩატდა, მოუზომავი ნაბიჯი გადადგა, მერე კი იძულებული გახდა მეგობრები, კოლექტივი მიეტოვებინა და გასახდელისკენ აეღო გეზი.

მწვანე მინდვრიდან გასახდელამდე გზა საოცრად მოკლეა, როცა ტრიბუნები გამარჯვებულს ტაშით მიგაცილებენ. მაგრამ იმ დღეს სარბიელიდან გაძევებულ ცნობილ ფეხბურთელს, რომელსაც გარინდული ქომაგების სინანულით აღსავსე მზერა მიაცილებდა, ეს გზა ალბათ უჩვეულოდ გრძელი მოეჩვენა. სხვანაირად ვერც წარმოგვიდგენია, რადგან გვჯერა მისივე, როგორც სპორტსმენისა და მოქალაქისა.

შეიძლებოდა თუ არა, ეს სამწუხარო ინციდენტი არ მომხდარიყო? – შეიძლებოდა, შეხვედრის არბიტრი, მოსკოველი ვ. ბასკაკოვი მოწოდების სიმაღლეზე რომ მდგარიყო, თავიდანვე გაერკვია ვითარება და საქმე აქამდე არ მიეყვანა. სადაც სამართალია, გასაძევებელი თავდაპირველად ბულავინი იყო. პრესკონფერენციაზე არბიტრმა თქვა, ლენინგრადელის უხეშობა გამომეპარაო. მაგრამ, ხომ არის გვერდითი მსაჯი, რატომ მას არ მიმართა არბიტრმა დასახმარებლად? მსაჯის მიუტევებელ შეცდომას, რაც თავადაც იგრძნო, მატჩის კომისრის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ტ. ბახრამოვის თქმისა არ იყო, შემდგომი არაკვალიფიციური და მცდარი გადაწყვეტილებები მოჰყვა.

შეხვედრას ესწრებოდა გეზეთ "ლელოს" სტუმარი, უნგრეთის სპორტული ჟურნალისტი "კეპეშ სპორტის" კორესპონდენტი ანდრაშ კიურტი. განვლილი მატჩის შესახებ მან მოკლედ გამოთქვა თავისი აზრი: "მე თბილისის "დინამოს" გაკრიტიკების უფლება არა მაქვს, ვინაიდან უნგრული ფეხბურთის დღევანდელი დონე არც ისე მაღალია. თქვენი გუნდიდან მომეწონა პირველ ყოვლისა შენგელიას, მანუჩარ მაჩაიძის, ჩელებაძისა და დარასელიას თამაში. თქვენი ბიჭები დიდებულად უტევდნენ მთელი მატჩის მანძილზე, თუმცა დამაგვირგვინებელი დარტყმის მომზადებაში ბევრი ნაკლი ჰქონდათ".

56 წუთის განმავლობაში "დინამო" ულიდეროდ და 10 ფეხბურთელით თამაშობდა და ამ რთულ ვითარებაშიც შეძლო ძალების მაქსიმალურად მობილიზება, რაც მთავარია, მასპინძლებმა უარყვეს დაცვითი ტაქტიკა და გამუდმებული იერიშების ერთგულნი დარჩნენ. ასეთ შესაშურ ბრძოლისუნარიანობას, მართალი გითხრათ, ბევრი არ ელოდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ლენინგრადელები უსისტემოდ იშორებდნენ ბურთს. თბილისელთა გამუდმებულ იერიშებს, კუთხურ

დარტყმათა მთელ სერიას ლოგიკურად თითქოს გოლი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს არ მოხდა და ამიტომ შეხვედრის შედეგი უგოლო ფრე გახლდათ.

ჯ. ენუქიძე.
“ლელო”, 9 აპრილი, 1977 წ.